

პროექტი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია

პრაქტიკული სემინარი
(ვორკშოპი)

თბილისური ისტორიული სახლის ტრადიციული დულაბის
მომზადება, გამოყენება და მოვლა-პატრონობა



5 - 6 სექტემბერი, 2020

თბილისი, მეფე სოლომონ ბრძენის ქ.# 33

ვორკშოფის შესახებ

თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ფასეულობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტრადიციულ ტექნიკურ ხერხებს და ტრადიციულ მასალებს, რომელთა დაცვა გადამწყვეტ როლს ასრულებს კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესის სწორად წარმართვაში. ეს თავის მხრივ განაპირობებს თბილისური საცხოვრისის გრძელვადიან შენარჩუნებას.

თბილისის სამოქალაქო ხუროთმოძღვრებაში საუკუნეების მანძილზე გამოყენებულ სამშენებლო მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ტრადიციული დულაბი, რომელიც არქიტექტურული სტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს, თბილისური საცხოვრებლის სპეციფიკური მახასიათებელია და მნიშვნელოვნად განაპირობებს შენობების მდგრადობას.

ტრადიციული სამშენებლო მასალების კონსერვაცია დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის სფეროში. ამ მიმართულებით, ბევრ ქვეყანაში, მუდმივად ხორციელდება კვლევები და საუკეთესო შედეგის მისაღებად ხდება სხვადასხვა თანამედროვე მასალების ტესტირება. უახლესი საერთაშორისო კვლევები, სამეცნიერო ნაშრომები და პრაქტიკა სამშენებლო დულაბის შესახებ ადასტურებს, რომ ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის პროცესში არათავსებადი საკონსერვაციო დულაბის აქტიურმა გამოყენებამ მრავალი არქიტექტურული ძეგლის შეუქცევადი დაზიანების პროცესს შეუწყო ხელი.

2018 წლიდან ICOMOS საქართველო ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატთან თანამშრომლობით და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, საპილოტე პროგრამის - „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია“ - ფარგლებში, თბილისში, მეფე სოლომონ ბრძენის ქ. #33 - ში მდებარე, ისტორიული საცხოვრებელი სახლის სხვადასხვა პერიოდის დულაბების მაგალითზე ახორციელებს ტრადიციული თბილისური დულაბის კვლევას. კვლევის ფარგლებში, პრაქტიკული და ლაბორატორიული შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ საცდელი დულაბი, თბილისის ისტორიულ უბნებში გამოყენებული სხვა დულაბების მსგავსია და ის თიხა მინერალებით გაჯერებულ მიწის დულაბს წარმოადგენს, რომელსაც მეტი სიმტკიცისთვის დამატებული აქვს მცირე რაოდენობით კირი.

შემადგენლობიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე ასეთი დულაბები მგრძობიარე და მოწყვლადია გარემო პირობების მიმართ. ასეთ დულაბზე განსაკუთრებულად აგრესიულად და დამაზიანებლად მოქმედებს არასწორად შერჩეული საკონსერვაციო მასალები.

სწორედ ამიტომ წინასარესტავრაციო კვლევის დროს უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა საკონსერვაციო დულაბის სწორი შერჩევა და თავსებადობის პარამეტრების მაქსიმალური გათვალისწინება, რაც შესაძლებელი გახდა გრძელვადიანი პრაქტიკული ტესტების და თანმდევო ლაბორატორიული ანალიზების საშუალებით.

საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე ICOMOS საქართველო საპილოტე პროგრამის - „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია“ - ფარგლებში სტუდენტებს, ახალგაზრდა სპეციალისტებს და მშენებელ - კალატოზებს სთავაზობს ორ დღიან სერტიფიცირებულ პრაქტიკულ ვორკშოფს, რომლის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ თბილისური დულაბის კვლევის შედეგებს, მომზადების ტექნოლოგიას და მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკულ აქტივობებში, რომლის დროსაც ისინი თავად შეძლებენ, ტრადიციული კირის და ასევე თბილისური მიწის დულაბის მომზადებას და გამოყენებას, როგორც ამოზვისთვის, ისე კედლის დასაწყობად. სემინარი მოიცავს როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს.

ვორკშოფის მიზანი

ვორკშოფის მიზანია საპილოტე პროგრამის - „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია“ - ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგების და მიღებული გამოცდილების გაზიარება. ამისთვის გეგმავს, ისტორიული საცხოვრებელი სახლების რესტავრაციით და ტრადიციული სამშენებლო მასალებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და სტუდენტებს გააცნოს თბილისური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში გამოყენებული დულაბის მახასიათებლები, მისი მომზადების ტექნოლოგია და გამოყენების სპეციფიკა.

ამასთან ამ პრაქტიკული ვორკშოფის საშუალებით გვსურს წარმოვაჩინოთ ამ ტიპის დულაბების გამოყენების მნიშვნელობა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის პროცესში და მისი უპირატესობები სხვა თანამედროვე და მაღალტექნოლოგიურ დულაბებთან შედარებით.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება

ვორკშოფში მონაწილეობა შეუძლია: არქიტექტურის და არქიტექტურის რესტავრაციის ან ქვის რესტავრაციის სტუდენტებს, რომლებიც უკვე ფლობენ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს ან აქვთ ძეგლზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება; მშენებელ კალატოზებს, რომლებსაც მონაწილეობა აქვს მიღებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რესტავრაციის პროცესში და დამსაქმებლის მხრიდან წარმოადგენენ სარეკომენდაციო წერილს;

მონაწილეობის მსურველთა განაცხადი

მონაწილეობის მსურველებმა წარსადგენი დოკუმენტაცია უნდა გააგზავნონ ICOMOS საქართველოს სამდივნოში შემდეგ მისამართზე

info@icomos.org.ge

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან
2. მოკლე რეზიუმე, საკონტაქტო ინფორმაციით

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მომუშავე კალატოზებმა უნდა წარმოადგინონ

1. სარეკომენდაციო წერილი დამსაქმებლის მხრიდან
2. საკონტაქტო ინფორმაცია

COVID-19

ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებით მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია და განსაზღვრულია, მაქსიმუმ ათი მონაწილის მიღება. ამავდროულად მიზნით დასწრება არ იქნება თავისუფალი.

პრაქტიკული სემინარის ვიდეო ჩანაწრები და მის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო და სადემონსტრაციო მასალებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ICOMOS საქართველოს ოფიციალურ ვებ გვერდზე და პროექტის ფეისბუქ გვერდზე - მცირე უწყებანი რესტავრაციის შესახებ.

პრაქტიკულ სემინარზე გათვალისწინებული იქნება კორონავირუსის რისკების თავიდან აცილებისთვის საჭირო ყველა ინსტრუქცია, რისი შესრულებაც აუცილებელია ყველა მონაწილესთვის.

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი (ICOMOS საქართველო)

ICOMOS საქართველო არის არასამთავრობო, არამომგებიანი პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1993 წელს, როგორც ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) ეროვნული კომიტეტი. ორგანიზაცია მოწოდებულია ICOMOS-ის ქარტიების, რეკომენდაციებისა და დეკლარაციების შესაბამისად ხელიშეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მაღალი სტანდარტების განვითარებასა დგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. ამ მიზნით ICOMOS საქართველო ახორციელებს, უნარ-ჩვევების ამაღლების, გათვითცნობიერების და სპეციფიკურ საპილოტო პროგრამებს/პროექტებს.

ბეთლემის აღმართი #16 ბ

თბილისი. 0105

კონტაქტი: ლელა ნინოშვილი, 595636361

<http://icomos.org.ge/ge/>

